

შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი

№ 1.

კვირა, აპრილის 13, 1908 წ.

ფასა წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 7 კაპეიკით.

აღმსნი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

40
1908/0

შინაური: მეთური; მარტი (ლექია); ღია წერილი საქართველოს სამღვდლოებისადმი—რედ-ისა; გლოვა-თ-ლი ი. ქავეჯაძისა (ლექია)—მღვ. კელენჯერიძისა; ივ. გომართლის იტაობა—ანდონიანისა; ს. თოფურია დღეს მიკვდა—სვირელი-სა; სიხარო (სააღმკრძო მოთხოვნა)—კ. ჩხაიძისა; რამ დაბადა თანამედროვე შანტაჟი და რით შეიძლება მასთან ბრძოლა—ბოსლუქლისა; კვირადა კვირადე; პედაგოგიური აკადემია—რედ-ისა.

ქრისტიანული აღსდგა!

ყოველ კვირულ გაზეთ

„შინაურ საქმეებს“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 7 კ. აბრილიდან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ქუთაისი, 13 აპრილს.

ჩვენი თანამედროვე ქართული გამოცემები პარტიული მიმართულებით არიან გაქვნილი. ერთ გაზეთს ვერ შეხვდებით, რომ პარტიულ ინტერესებს არ ემსახურებოდეს. ყველას რაღაცა უნდა, ყველა რაღაცა თავისებურ პოლიტიკურ წესწყობილებას განხორციელებას ესწრაფება და ამ თავის მისწრაფებას აძალგებს ხალხს... და არა თუ აძალგებს, არამედ დაჟინებით გაიძახის, რომ ეს მისწრაფება ხალხს ეკუთვნის, მისი გულწრფელია, მისი პიროვნობისილი შვილიაო. აქედან წარმოსდგება გზადაზნეულობა იმ გამოცემებისა, რომ-

ლებიც ამტკიცებენ: ხალხი განხორციელებული კუჭია. გლენი პროლეტარია, პროლეტარს სამშობლო არა აქვს, ხალხს ფედერაცია სურს, ხალხი ავტონომიის ეძებს, ხალხი სოციალიზმისკენ მიისწრაფის, ხალხი ურწმუნოა და სხვა და სხვა. არც ერთი ამ გამოცემათაგანი მეცნიერულად და მიუდგომლად არ სჯის საგანზე, მათი მსჯელობა დამყარებულია პარტიულ ფანატიზმზე, იმ ფანატიზმზე, რომელიც მარტო თავისას სცნობს ქვეშარტებად და მის გზის გასაკვლევად არ ზოგავს არავითარ საშუალებას, არავითარ ღონისძიებას და, თუ დასჭირდა, თვით ხალხის კეთილდღეობასაც კი შეეხება.

ძალა ერთობაშიაო გაიძახიან თითქმის ყველა გაზეთები და თვითონ ერთობას კი არა, უკიდურეს განხეთქილებას იცავენ. პარტიობამ დაქაჩა ისედაც ცოტა ქართველი ინტელიგენცია, დაუკარგა მას საერთო მიზანი და რაღა გავლენა ექნება მის მოძღვრებას ერთობაზე? განა შესაძლებელია განხეთქილებაზე ერთობის აღმოცენება? მაგონდება, ერთ საზოგადოებაში ორ სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენელთა შორის კამათი, რომელიც



სრული უთანხმოებით დასრულდა. ხალხ-
მა წინადადება მისცა პ. „მქადაქებლებს“
ჯერ თითონ შეთანხმებულიყვნენ და მერ-
მე მიემართნათ მისთვის!...

ყველა გაზეთებმა საერთოდ კუჭი
აღიარეს ღვთად; მას შესწირეს სხვერბლად
მეცნიერება, ხელოვნება და მშვენიერება,
ეხლა მას უქმევენ გუნდრუკს, მას უმზადე-
ბენ მომავალს, მისთვის დაჰკარგეს ზეცა,
მისთვის უარჰყვეს უკვდავება, მას დაანაც-
ვლეს ასი ათასი ახალგაზდა ენერგია. კუ-
ჭის უსახლკრო მოთხოვნის შესხლუდ-
ვა კი არა, მისი გაფართოება აღიარეს
მიზნად ცხოვრებისა. ამ მდგომარეობაში
დიდხანს გაჩერება გაპირუტყვების ნიშა-
ნია, გადაშენების მომასწავებელია. საჭი-
როა გამოფხიზლება, საჭიროა ადამიანურ
შეხედულება საგანზე, საჭიროა ამაღ-
ლება მღაბიო, ცხოველურ მოძხოვნ-
ლებაზე. საჭიროა შეგნება, რომ ჭამა და
სმა კი არ არის ადამიანის დანიშნულება,
რომელ დანიშნულებასაც მშვენიერად
ასრულებენ ცხოველები, არამედ სულის
ძალების განვითარება, ზნეობრივი სიმალ-
ლე, რომლის უმისოთ კუჭი ვერასოდეს
ვერ იგრძნობს კმაყოფილებას.

ამ აზრის მიხედვით ჩვენი გამოცემა
განსაკუთრებით არც ერთ პარტიას არ
მიემხრობა. მაგრამ, ეს კიდევ იმას არ ნიშ-
ნავს, რომ იგი ერთბაშად უარს ჰყოფს
ყველაფერს, რასაც რომელიმე პარტია
აღიარებს. ყველა პარტიას აქვს თავის
კარგი და ცუდი მხარე. ყველას საერთოდ
უბყრია სიპართლე, მხოლოდ ეს სი-
პართლე დამახინჯებულია პარტიული
ფანატიზმით. გარეცხეთ ამ პარტიული
ფანატიზმისაგან იგი და თქვენ დაგრჩებათ
ხელში სრული სიპართლე, „ვით მარგა-
ლიტი ობოლი ხელისხელ საგოგმანები“!

ნაკლებიკანების ძმური მხილება და
საუკეთესო მხარეების გამომზიურება,
ათას ვერ პარტიებში ობოლი მარგა-
ლიტის ძებნა, — აი რა აღვიდს დაიჭერს

ჩვენი გამოცემა-თანამედროვე პარტიებთა
შორის.

თუ არ ვსცდებით ხალხსაც მობეზრ-
და სხვა და სხვა პარტიებში ბოთილი-
ეხლა სწყურია მხოლოდ მათი მეცნიერუ-
ლად დაფასება. აგრეთვე მას არ დაუწყ-
ნია თავისი ფილოსოფიური საკითხები:
საიდგან მოვედით? სად მივდივართ? მას
ისევ ისე აღფრთოვანებს მეცნიერება, იგი
ისევ ისე ეძებს სამარადისო ქეშმარიტე-
ბას და ღღესაც ამ ქვეყანას „წუთასო-
ფელს“ უწოდებს...

ჩვენი გამოცემა უმთავრეს ყურადღე-
ბას მიაქცევს ამ ადამიანურ მოძხოვნ-
ლებათა დაკმაყოფილებას, რომელზედაც
სხვათა შორის დამოკიდებულია ამ წუთ-
სოფლის ბედნიერებაც...



მ ა რ ტ ი.

გაზაფხულის პირველი თვევ,
მარტო, რაზე ჩამოტირი?
რად გვიქარწყლებ იმედებსა,
რა ჰქენ ნაქად-დანაპირი?

გაზაფხულის სიახლოვე
გულს იმედებს მიახლებდა; —
ვფიქრობდი, რომ ეს იმედი
შემიტკობდა, მიახლებდა...

ზამთრისაგან დაზრულ სხეულს
გაათბობდა, დაახობდა...
ძარღვში სისხლი ჩუხჩუხებდა,
რაკი ეს დრო მოახლოვდა...

მაგრამ ქარი, ჯანყი, ღელვა,
სეტყვა; ყინვა, ბუქი ზოგად,
ყველა ჩემს თავს მოახვიე
იმედების ჩასაქრობად...

მარტო! მე ვერ შემაშინებ,
მხოლოდ ტყვილა მეტიჩაობ...

იმ გაზაფხულს მოვესწრები,
რასაც ვნატრობ, — მე არ ვჩქარობ!
რ. საჯავახოელი
17 მარტი 1908 წ.

ლია წაჩილი საქართველოს სამღვდელთა კონგრესი.

უკანასკნელმა ეგრეთ წოდებულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არ დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი კუთხე, რომელსაც არ შეხებოდეს. მან შეარყია მთელი ჩვენი საზოგადო, პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. იგი შეებო სარწმუნოებასაც და გამოაცხადა იგი ცრუმორწმუნოებად, მისი მსახურნი კი მატყუარებად და მუქთა ხორებად. ეგრეთ წოდებულმა ახალმა თაობამ ომი გამოუცხადა ყველაფერს, რასაც კი სარწმუნოების ბეჭედი აზის. იგი არ ფარავდა და არ ფარავს თავის ზიზღს ტაძრებისა და სამღვდლოებისადმი. მან უარყო ნათესაობა და საქვეყნოდ აღიარა, რომ აღამიანი იგივე ცხოველია, რომ მისი ცხოვრება აქ, ამ ქვეყნად, იწყება და აქვე თავდება, რომ მისი მიზანი არის კუჭი, რომ ამ უკანასკნელის დაკმაყოფილება შეადგენს მის დანიშნულებასო. არ არის არავითარი მომავალი ცხოვრება და არც საჭიროა იყოსო.

კაცი სიგლახეს, ბორბობებს, უფრო ადვილად ითვისებს და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ასეთმა ქადაგებამ ღრმა ფესვები გაიდგა საზოგადოებაში და შესაფერი ნაყოფიც მალე გამოიღო. ამას, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ იგინი, ვინც ვალდებული იყვნენ ეზრუნათ სარწმუნოების დასაცველად, სდუმდენ და არაფერს ამბობდენ. ეს დუმილი ხალხმა თანხმობის ნიშნად მიიღო და ამას მოჰყვა ის გარემოება, რომ მან უარყო სამღვდლოება, მოუსპო მას ცხოვრების სახსარი, აიგდო აბუჩად და, ვისაც გუშინ სულის მამას ეძახოდან, დღეს უბრალო მატყუარად დასახა, ჩვენი სამშობლო ეკლესიის სამღვდლოება მოძრაობის წინააღმდეგ არ იდგა შესაფერ

სიმაღლეზე, რასაც აშკარად გვიმტკიცებს სილატაკე ჩვენი საღვთისმეტყველო ლიტერატურისა; არა თუ ორიგინალური ვერაფერი შევქმენით, ჩვენი მდიდარი ძველი სამღვთისმეტყველო. ლიტერატურითაც ვერ ვისარგებლეთ, ვერ ვისარგებლეთ აგრეთვე ვერც ჩვენი თანამორწმუნე რუსეთის და სხვა ქრისტიანების ღვთისმეტყველებით.

საეკლესიო ისტორია? სადა გვაქვს იგი? ვითომ არ უცხოვრნია ივერიის ეკლესიის ამ ცხრამეტი საუკუნის განმავლობაში, ვითომ ახლა დაიწყო ჩვენში ქრისტიანობა! როდის მივეციო ხალხს ისტორიული მაგალითები სარწმუნოების მტკიცე დაცვისა, როდის მოვაგონეთ მისთვის თავგანწირულნი ქართველნი მოძღვარნი და მოღვაწენი? ამას მიუმატეთ ისიც, რომ არც ჩვენ წარმოვადგენთ სარწმუნოებისთვის თავგანწირულ კოცხალ მაგალითებს, და ამის შემდეგ რათ უნდა გვიკვირდეს, რომ ასეთი სამღვდლოება ხალხმა უარყო?

იმ დროს, როცა თვითეული ჯგუფი, თითოეული პარტია თავის საქმეს აწყობდა: ზებირად თუ წერილობით თავის აზრებს უზიარებდა საზოგადოებას, ჩვენ მთელი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს ერთი თვითური ჟურნალიც არ გაგვაჩნდა, რომ ჩვენი ამბავი ერთმანეთისთვის შეგვეტყობინებია და საკუთარი აზრი გამოგვეთქვა მოძრაობის მიერ წამოყენებულ სხვა და სხვა საკითხებზე. ამ მხრივაც ჩვენი დუმილი ხალხის მჩაგვრელთა მომხრეობად ჩამოგვერთვა და სრულებით დაიკარგა ჩვენი ავტორიტეტი, არა თუ როგორც სარწმუნოების წარმომადგენლებისა, არამედ როგორც მოქალაქეებისა.

ამიტომ ჯერ, სანამ კიდევ გვიან არ არის, საჭიროა ხელი შევუწყოთ ჩვენი მოვალეობის შესრულებას. საჭიროა ვიქონიოთ თავდაპირველად ერთი დამოუკიდებელი ორგანო, რომლის საშუალებითაც ვატყობინებდეთ საზოგადოებას ჩვენს ვინაობას და ვასწავლიდეთ იმას რის სწავლებად ვართ მოწოდებული. ყოველმ ეკლესიის მსახურმა სავალდებულოდ მივიჩნიოთ ერთმანეთის გაცნობა და დაახლოვება ხალხის ნამდვილი ძარღვის ცემის, მისი სურ

ვილებს და მისწრაფების შეტყობა და მათი ასიკეთოდ წარმართება. გაზეთი შეგვაერთებს ჩვენ, გავიჩინებს საერთო მიზანს, შექმნის ჩვენში ერთსულოვნობას, რომელსაც ვერ სძლევენ „ბჭენი ჯოჯობეთისანი“. ბევრი საკითხავები კადმოგვცა ჩვენ ახლო წარსულმა, რომლის დაუქმყოფილებლობა ჩვენი სიკვდილის ნიშანი იქნება და რომლის ასე თუ ისე დაკმაყოფილება მხოლოდ გამოცემის საშუალებით შეგვიძლია. იმედი გვაქვს მთელი ივერიის სამღვდლოება თანაგრძნობით მიეგებება საკუთარი ორგანოს გამოცემას და არ დაზოგავს თავის წვლილს როგორც ზნეობრივ, ისე ქონებრივ შემწეობის აღმოსაჩენად...

რედ.



გლოზა თ-დი ილია ზავზავაძისა.

თქმული მთაწმინდაში საფლავზე დაკრძალვის დღეს.

— შენი ჭირიმე, მგოსანო,
 ობლად დანგდებო ერისა,
 მოყვარის ამტირებელო,
 გამხარებელო მტერისა!
 მიზეზო მშობლის წყლულისა,
 თვალთაგან ცრემლთა ტენისა,
 დამბნელებელო მისი მზის,
 მის საფუძველთა რყევისა,
 მის მწარე მოთქმა-გოდების
 და შავის ბედის წყევლისა!...

ჭირიმე შენი ბელადო,
 შენი ქალარა წვერისა,
 გუთნის დედასთან ღიღინის,
 მაგ შენი კალმის წვერისა,
 დამტირებელო წარსულის,
 აღმდგენო ახლანდელისა,
 მაგ შუბლის, აზრის მექონის,
 მაგ გულის კეთილ-ძვერისა,
 მკერდის, პოპილის ტყვიითა,
 ხელის, სიმების მეღერისა,
 შენი აკენისა დაპრწების
 და ნანას მოქმელი დედისა!..

შენი მისი-ან მისი-ან გულისა,

მტერთან „არ შხრელო ქედისა“,
 მსხვერპლო სიმხეცის, მტარელობის
 და უკუღმართის ბედისა!...

საყვედურს გიძღვნის აკაკი,
 უღელში დაცალეპული,
 შენი ღვთაება—ივერი,
 შენგანვე დაშავებული..

რამ დაგაძინა, ჭირიმე,
 ლუარსაბისა ღრიალში,
 იმისი თუთხუნ-ღრუტუნში
 და დარეჯანის წრიალში!
 ადექი, ვაი, თუ დათვრეს
 ან ნახოს ცუდი სიზმარი,
 ან იატაკზე დაცემით
 იმტერიოს გვერდის ფიცარი!

ადე, იმედო ქვეყნისა,
 მტერი ჩვენზედა აღმდგარა,
 შემოგვსევთან მგლებიგით,
 ხეტილობენ კარ-კარა!
 სულ აგვიმღვრიეს შინ წყალი,
 გუშინ რომ იყო ანკარა!
 ადექი, ძილს ველარ გაცლით,
 აწ მოსვენება მაგ კმარა,
 გულის ფანცქალით დაგყურებთ
 მოხუცი, დიდი, პატარა!...

შენს „ბაღში ვაზსა ობოლსა“
 თვალეები „აცრემლებია“,
 არ გეგონოს-კი „ლხენითა“,—
 ტირილით დასიგებია!

იქ გიცდის შენი „აჩრდილი“
 „მყინვარზედ მდგომი“ ქალარა,
 მოსთქვამს სინწარით, რადგანაც
 არ ესმის შენი ნალარა.

შეხედა საქართველოსა,
 სად ყველა შავში ჩამჯდარა...
 ველარ გაუძლო მას გულმა,
 სამწარით ცრემლი დაღვარა
 და სევდით გულის ქვითინმა
 მოხუცის სახე დაღარა!..

შენი ჭირიმე, მგოსანო,
 რათ გაგვიძვირე „ღიღინი“,
 „იმ სტუდენტების სიმღერა“,
 აკვანში ჩვეილთან ტიტინი?
 ეკითხებოდნენ „შამულსა“.

„შენ როს-ლა აყვავდებო?“
 ეხლა თვით გაძლევს კითხვასა:
 „შენ როს-ლა აყვავდებო?“
 უკვე დამტყუვის მერცხალი
 და შემოვისხი ფოთლები,—
 ახლა რა დროა ძილისა?!
 მე ახლა მინდა შვილები,
 რომ შემომხლულონ მაგრადა,
 არ შემოაუშვან მტერია
 და ახლად გამბალ კოკრებსა
 არ აშიდინონ მტვერია!“

შეხედე შენსა „მოძღვარსა“,
 რა კარგი „კურვა“ ცოდნია!
 ისე უმოძღვრის „გლეხებსა“,
 თვით მაცხოვარი გგონია!
 აგერაც ხომ ოთარანთ ქვრივი,
 არ მწამი „ტკბილის სიტყვისა“,
 აღმზრდელი შენი „გიორგის“
 დამმარხი ქმრისა ფიცისა!

რა მადლიანათ გვისახე?!
 დააპრიალა სახლ-კარი,
 კარგიც კი იცის, ავიცა
 მისი სახლია ტაძარი!..

აღე, კარგო, აიხედე,
 ფულით „სჭირან სამართალსა“
 ორმოს სთხრიან თავის „ძმისთვის“
 და „ჰყიდიან გროშზე კაცსა“.

ვინ გაიგებს „ობლის ტირილს“?
 დარჩება გაუგებარი

უშენოთ, უშენ-კალმოთა
 ქურში ჩაუდგება ძმარი!

„უხიტყვო“ იყენენ შენთანა,
 ენას აიდგმენ ჩვენთანა,
 შეგვიმწიკვლავენ სამსხვერპლოს
 და წაგვიწყდება ქვეყანა!..

მაშ აღე, აღე, ბელადო,
 მოიქნე შენებრ ხელი,
 დასტყვილე იმ გაიძვერებს,
 გზათ უჩვენე მელის ხვრელს,
 იალბუხს გადააცილე,
 ააღინე ზურგზე მტვერია!

აბა მითხარი, რად არ იღებს ხმას?
 ვინ უნდ „სდიოს ეხლა სხვა ვარსკვლავს“?

ვინ უნდა „უშვას“ ერს მყოობადი?
 ვინ უნდა „მისცეს მომავალი ხალხს“?
 ვილას ექნება ამაზე „დარდი“?!

შენ ზრდიდი „დედას“, იგი — „ძლიერს
 სულს“,

„საზრდოდ ახმარდა ქრისტესა მცნებას,
 შთააგონებდა კაცთა სიყვარულს,
 ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“
 და სიკეთისთვის გული უთრთოდა
 და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდა.
 დღეს? სადღა ჰპოვოს შან ეს მოძღვარი?!
 ვინ ექნეს იმას დღეს წინამძღვარი?!
 შენც თუ უმტყუნე, ჰირი აქციე,
 მაშინ შეიქნეს მის ბედი მწარი!
 აღე, გენაცვა, გაგვიღელ წინა!
 რომ არა დაქრეს გზისა ლამპარი,
 ან არ დაგვესხას ჩვენ თავზე ლაფი
 და არ შევიქნეთ უშენოთ მკვდარი!.

რომ სტიროდი, მგოსანო,
 წინასწარმეტყველებდი,
 „ნახავთო ბედშაობას“, —
 „აკვანში“ გვაგონებდი, —
 ჩვენს ერთობას დაკარგულს
 და მამულს დაობლებულს, —
 ხომ აგვიხდა ეს ჩვენა?!
 „დაგვაობლე“ თვით შენა!?
 თუ წაგვიხდა გმირობა“
 და გაგვიწყრა ჩვენ ზენა?!

რით არ შედრკეს ქართველი?
 ვინ უთხრას შენი „ნანა“?!
 რომ მოგვეშორდი შენ, მამა,
 ვინ დაგვრჩა შენისთანა?!
 ქირში რომ მიგვატოვე,
 ეგრე უნდოდა განა?!..

მაგრამ კარგო, არ გეწყინოს,
 ბოდვა გულის განამწარის,
 გესლი ნატყორკნი ენისა,
 შეუბრალოდ დანამწვარის!
 დიდ-არის შენი ღვაწლი,
 რომ „მამულს უერთგულე“
 და რაც „სიტყვით უთხარი“,
 ის „საქმით შეუსრულე“!..

ვაშა! „მამულს მსხვერპლო“, —
 დიდებულო ქართველი, —

შემოგვხედე.— თავზედა
გველება საქართველო!

„ცამ დაგნიშნა, ერთი გზრდიდა,
„მიწიერი ზეციერსა“

ღმერთთან მისთვის საუბრობდი,
წაძლოლოდი წინა ერსა.

„დიდის ღმერთის საკურთხეველის
გიღვიოდა ცეცხლი გულში,
რომ ერის ძმად ყოფილიყავ
ქმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული გიჩნდა წყლულად,
გეწოდა მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დაგელაგა მტკიცე გული“.

„იმ დროს ცილამ ნაპერწკალი
შენ გიფეთქდა გულში ცეცხლსა,
თანც მღეროდი და თანც სწმენდდი
მშობლიურს ერს ტანჯვის ცრემლსა!“

„დედამ რომ შვილი ზარდოს,
ემაგრე შენისთანა!

„ძმურად იყავ ყოველთვის,
ყველგან და ყველასთანა!“

„ლხინში მღვხენსა ულხენდი“
„ქირში“ მქირნეს „შეელოდი“,
ფიქრის, საქმის, შრომის დროს
ბრძენს არ უვარდებოდი“.

„დიდს აძგერდი მაგ მკერდსა,
„მხარს აძღვევდი პატარას“,
„მტყვანს“ მეღვრად ხედებოდი,
მტლათ ედებოდი მართალს“.

„წინ სვლაში არ იხვედი“,
არც აგდე „დარჩენილი“,
ყველგან ყველა გიხსნია
უღონო, დაერდომილი“

„უნგაროდ“ ხვიდოდი,
ის გქონდა გულში ფიქრად“,
რომ წინა უკანასთვის
„იყოსო გზად და სიდად.“

„ეგრეთი კარგი იყავ,
ყველგან და ყველასთანა.
თუ დედამ შვილი ზარდოს,
ემაგრე შენისთანა!“

შენი „კალმისთვის“ შენ არა გწამდა
ნაღარა, „ტაში“,

შენ მსახურებდი „უშიშროდა“,
- „სხვის ჰფენდი ხალხში“.

„კაცმა ხომ ვერ სცნო შენი გული“,
ეჭ „იცის ღმერთმა“,

აჰა კიდევაც გვირგვინი ეკლის
დაგადგა ბედმა!..

„შენზედ ამბობდნენ: „ის სიამვეს
ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მაღიავს, ეს ხომ ცხადი
სიძულვილია“.

„ბრიყვნი ამბობდნენ, კარგი გული-კი
მაინც სცნობდა,

მაგ სიძულვილში რაოდენიც
სიყვარულია!“

და კიდევაც მათ ხელი სისხლში
ასეარ-დასეარეს,

მაგრამ იცოდე გზა შენი კალმის
მათ ვერ წაშაღეს!

მაშ დიდება მაღალს ზეცას! ვაშა, ვაშა
შენებრ ძესა!

შენისთანა შეილისათვის დედა დაიშურებს
რძესა?!..

წმიდა დავით გულსა გიხსნის და მთაწმიდაც
გიშვერს ხელსა,

თვის წიაღში განსასვენად ათასტრად გ-
ფენენ გზებსა!

„მოდი ძეო, — გაბატეობენ — დაქანცულო
დაისვენე,

„ღვაწლით მოსილი ქოჩორი დღეს გვირ-
გვინით დაიშვენე!

„არ მოიწყინო, მოწამეო,
გიღონდეს მტერი!

„თავსა დაგტირის, მტლეთ გედება
შერცხვენილ ერი!

„ან არ ინატრო იქ, ძირს წამოსვლა!
ნუ თუ ინატრი?!

„აქ არ სჯობია?! აქ არა გყავს
შენი დიმიტრი?!

„არ გაგეხარდა მაგის ნახვა
და ჩაკონება?!

„რა დროს ფიქრია, მწარე ფიქრი
და დაღონება?!

„მთესალმენით, ტოლნო — გპირნო,
ორივ დაქრილნო?!

„ორივ ტანჯულნო, დადალულნო
და დაკოდულნო!
„აბა უჩვენეთ ერთმანეთსა
თქვენ იარები!
„ორივ მორწმუნე, მაგრამ მკედარნო
უზიარები!..
„არა, ნუ იზამთ, არ იზილოთ თქვენ ის
ქვეყანა,
„სადაც არ არის არც სირცხვილი
და არც გატანა?!..
„აქა რა გიშავთ, საქართველო
იქ არის ზეზე?!
„აი, უკეთესს საქართველოს
ლოდი აქვს გულზე!
„მანდ არ არიან ჩვენი გმირნი:
დავით, თამარი?
„ქეთევანი, ძმანი არგვეთით,
მხარგრძელ ზაქარი?
„მადვე არა გყავთ თქვენი შოთა
და მისი ქნარი?
„ჰო, ნიკოლოზიც, რაფიელიც
და მათი თარი?!
„მად არ გიმღერის დიდი გრიგოლ
დიდს სადღეგრძელოს„?!
„მად დაჰკენეს ვახტანგ
თვის „იმედით“ ძველს საქართველოს!
„მადვე არ გახლავს ალექსანდრე
კომბლითა ხელში,
„რომ ჩამდგარიყო მთიულეთში
„ხარ-ლაღთან“ ხევში!?
„ახლა შეხედე პატარა კახს, მეფეს
ირაკლის!
„მაგის მაცქერალს უიმედობა
აბა ვით გეთქმის?!
„მადვე კიდევა გაბრიელი,
იგი სულ მნაჟი,
„რომ დაგვიმშვენა თვისი გვამით
დიდი გელათი!!
„მად არ არიან ძენი კოლხიდის
სული და გული,
„რომელთ სისხლითა, წმიდა სისხლით
მორწყეს მამული?
„დიად, მად გყავან საქართველო,
გმირნი ქართლისა, —

„დარჩენ აქ, ზევით კაცნი წვრილნი,
კაცნი ქონდრისა!..
„მაგრამ მიგიხვდი, ქვეყნის შეილო
რა გაქვს წუხილნი:
„შენც ის გაწუხებს რომ სამშობლოს
დარჩენ აჩრდილნი,
„მაგრამ სულ ყველა დიდი გულის,
მთლათ შურიაწნი,
„გაუტანელნი, მოძულარნი
და სისხლიანნი!
„ნუ გაიმეტებ შენა, შეილო,
უფნურსა ძმებსა:—
„მათ ისც ეყოფათ, რაც რომ შერცხვენ
და რაც ჰქმნეს ესა!
„აკი ამბობდი, წამებულო, წმიდა
ლოცვაში,
როს იდეგ შენა ღმობიერი შენსა
ოთახში:
„არცა სიმდიდრის, არც ღიდების
თხოვნა არ მინდა,
„არ მინდა ამით შეურაცხ-ვყო
მე ლოცვა წმინდა.
„არამედ მწყურს მე განმინათლდეს
ციო ჩემი სული,
„შენგან ნამცნების სიყვარულით
აღმენტოს გული,
„რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდაც
გულს ლახვარი მკრან,
„გთხოვდე: „შეუნდე არ იციან,
ღმერთო, რას იქმან“!?
„და დღესცა, შეილო, ოდეს მართლაც
„გულს ლახვარი გკრეს“,
„შეუნდე კანთ, საზიზღართა, რაც
ცოდვა მათ ჰქმნეს!
„შევედრე უფალს — „ცისარტყელა გა-
ნავლოს ცასა,
„რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცოს
ხალხსა“.

—
ჰოი, მთაწმინდავ, ჩვენო მეოხ, წმიდაწმიდათა,
ნავთსაყუდელი და სივანე რჩეულითა გვამთა,
მფარველო ქართველის, და პოხილო სისხლით
მამათა
და მოწამეცა ავთა ღროთა და დიდთა კამათა!

კადნიერებით შეგივრდები, გობოვ შენ წინაშე:
 დღეს მიიღევი გვაშიც ესე და შეგვიჩახე!
 შეუერთევი ეს შუქურა შენს ვარსკვლავთ
 ხომლსა,
 რომ უფრო ცხოვლად დანათილდენ ამ „მტკვარ-
 სა მდოვრსა“
 და აღუზრდიდნენ ტანჯულსა ერს თვის მსგავსს
 და სწორსა,
 რომ შენს წილში, სად დღეს ისმის გლოვისა
 ხარი,
 მარად ყვაოდეს და ჟღეროდეს მაგათი ქნარი!

და შენც დიღო მგოსანო,
 ნულარ „მოგიწყენია!
 აწმყო თუ „შეგივინეთ“,
 „მომავალი შენია“!
 სთხოვე ზეცას—მაგ სისხლზე
 აღმოცენდნენ ძენია,
 იყონ მადლად ქვეყნისა,
 მზის სხივის მომფენია!..
 მაშ მშვიდობით, მგოსანო!
 ნულარ მოგიწყენია!
 ჩამოუსვი მაგ სიმებს,—
 დიდხანს აღარ მსმენია!
 ნუ მოგვაკლებ შენს მადლსა,—
 საქართველო შენია!

მღ. მ. კვლენჯერიძე

9 სექტ, 1906 წ.
 მთაწმინდა, ტფილისი

ივ. გომართლის იჭიბოქია.

(სამეცნიერო წერილი)

ბ. გომართელმა „შარშან“ „ნაკადულის“
 მეათე ნომერში სამეცნიერო წერილი უძღვნა
 მოზარდ თაობას შესახებ ქვეყნიერების გაჩენი-
 სსა. ჩვენ არ მივაქცევდით ყურადღებას ამ მეც-
 ნიერულ იჭიბოქიას, რომ იგი ნამდვილ მეც-
 ნიერულად მიღებული გიბოტეზა იყოს და თანა-
 მდროვე „მეცნიერთა შორი“ ერთი მომხრე
 მაინც ჰყავდეს. გარდა ბ. გომართელისა, რომ-
 ლის სულის კვეთებას შეადგენს, დაამტკიცოს,
 რომ არ არის და არც საჭიროა იყოს არაფე-
 თარი ღმერთი, შემოქმედი ცისა და ქვეყანისა.

გომართელი, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა
 და ვერ გაბედავს, რომ ასეთი სამეცნიერო
 წერილით დიდებს გაუმასპინძლდეს. განძრახ-
 ვაც მისი იმაშია, რაც შეიძლება უსუსურები
 მოატყუოს, რომ მეცნიერების სახელით შეა-
 წოვოს მათ შხამი უმეცრებისა და ღვთისუარ-
 ყოფისა...

მაგრამ ყოველ ამისანა წერილში თავის
 დასაკლავ დანას თითონვე იძლევა ბ. გომარ-
 თელი; გარნა ისე ფთხილად კი, რომ უსუსუ-
 რები ვერ ამჩნევენ მას, ვერ პოულობენ და-
 ნას.

ამიტომ ეხლაც და შემდეგაც ჩვენ მოვა-
 ლეობად მივიჩნევთ პასუხი გავსცეთ ბ. გომარ-
 თელს. თუმცა საბასუხო მის იჭიბოქიაში არა-
 ფერია, მაგრამ გვეშინია სიჩუმე თანხმობის
 ნიშნად არ ჩამოგვერთვას და მოზარდი თაობა
 არ დასცდეს ჭეშმარიტ გზას.

თავის სამეცნიერო წერილის დასაწყისში-
 ვე ბ. გომართელი სწერს: „ქვეყნიერება მრავალი
 საიდუმლოებით არის სავსე, ადამიანის
 გონება კი შედარებით სუსტიაო“. თუ ქვეყ-
 ნიერება საიდუმლოებით არის სავსე, მაშ შე-
 უძლებელი ყოფილა მისი შესწავლა, რადგან
 სიტყვა საიდუმლოება აღნიშნავს ისეთს რასმეს,
 რაც ყოველთვის გაუგებარი რჩება ადამი-
 ანისათვის, და თუ ამასთან ადამიანის გონებაც
 სუსტია, თქვენი მტერი, ჩვენ არაფერი არ
 გვცოდნია ქვეყნიერების და ვერც არაფერს
 გავიგებთ. თუ ეს მსჯელობა გადაჭარბებულია,
 იმაზე მაინც უნდა დაგვეთანხმოს ბ. გომართე-
 ლი, რომ სუსტი და ნაკლულევანი გონების
 ნაწარმოები ყოველთვის სუსტი და ნაკლუ-
 ლევანი იქნება. სწავლა განათლება, რომელიც
 გომართელის აზრით „ფანტავს ყოველ ყალბ
 აზრს და მოძღვრებას“, გონების ნაწარმოებია
 და რადგან ნაწარმოებელი სუსტია, უთუოდ
 თვით ნაწარმოებიც სუსტი უნდა გახდეს.
 ასე სჯის ყოველი საღი ლოლიკა და ამას ამ-
 ტკიცებს თვით გომართელის ქვეყნიერების გა-
 ჩენის თეორია, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, იჭი-
 ბოქია. მართლიადა რა საფუძველი აქვს გო-
 მართელის ზღაპარს ქვეყნის წარმოშობაზე?
 იგი ამბობს: „დღეს მეცნიერებისაგან დამტკი-

ცებულია, რომ ის ნივთიერება, რომელიც შე-
 ადგენს ქვეყნიერებას, სამარადისოაო; მის არც
 დასაწყისი აქვს და არც დასასრულიო“. ერთი
 გვიბრძანებთ ბ. გომართელო, რომელი მეცნიე-
 რება ამტკიცებს ამ აზრს და რით ამტკიცებს?
 საიდან იცით, რომ ნივთიერება სამარადისოა?
 თუ ეს ისეთივე დოღმატია თქვენი წრის ხალ-
 ხისა, როგორც ღვთის არსებობა ყოველი
 სარწმუნოებისა? მეცნიერების საგანი ხილულია
 და მისაწოდებელი, საშუალება საგნის განხილ-
 ვაა. აბა მიბრძანებთ ვინ ნახა, ან ნახელობს
 ნივთიერებას? ვინ განიხილა ნივთიერება და
 სთქვა, სამარადისოაო? სად არის ეს ნივთიე-
 რება, აბა გვიჩვენებთ? მეცნიერებას ისე არ
 შეუძლია ამის დამტკიცება, როგორც თქვენ
 თქვენი სახელგანთქმული ექიმობით ადამიანის
 უკვდავება. ბარემ სჯობია, აღიაროთ, რომ
 ეს თქვენი რწმენაა და არა მეცნიერულ ნია-
 დაგზე აღმოცენებული სწავლა.

უსაფუძვლო და ბრმა რწმენაა ისიც, რო-
 ცა ბრძანებთ, ნივთიერება ყოველთვის მოძრა-
 იბს და ამ მოძრაობის დროს სხვა და სხვა სა-
 ხეს ღებულობსო, ვ. ი. სხვა და სხვა საგნე-
 ბად იქცევაო, მაგრამ ამაზე ქცემოდ. ეხლა კი
 ვკითხავთ ბ. გომართელს: როგორ გაჩნდა
 ქვეყნიერება ამ უცნაური და ყოველად უნიად-
 გო ნივთიერებისაგან? იგი ასეთს პასუხს იძლე-
 ვა მეცნიერების სახელით (?): „დღეს მეცნიე-
 რების ერთ უმთავრეს (?!) ჰიპოტეზას ის აზ-
 რი შეადგენს, რომ მზე მთვარე და მზის სი-
 სტემის ციკლები უძველეს დროს რაოდენიმე
 ასი და შესაძლებელია ათასი მილიონი წლე-
 ბის წინად წარმოადგენდნენ ერთ აღუღებულ
 და ორთქლად ქცეულ სხეულს, რომელიც
 შეუჩერებლად ტრიალებდაო. მერე? მერე
 „ტრიალის გამო ამ სხეულს თანდათან ჩამო-
 შორდნენ, ან მოსწყდნენ სხვა და სხვა რგო-
 ლები. მერე? მერე „ამ რგოლებიდან წარ-
 მოსდგნენ სხვა და სხვა ციკლები და დედამი-
 წა“. მერე? მერე „დარჩენილი ნაწილი ამ ერ-
 თი გახურებული სხეულისა არის ჩვენი მზე“. მერე? მერე
 „იქ ჰერო, აქ ლხინი, იქ ქატო და
 აქ ფქვილი.“ ასე დასრულდა ზღაპარი დედამი-
 წის წარმოშობისა. ქეშმარიტად საბავშვო მეც-

ნიერებაა ეს მეცნიერება! მართო უსუსურები
 შეგიძლიათ დაჯეროთ ამ სწავლაში და ისიც
 მეცნიერების სახელით, რადგან ეხლანდელ
 დროში თუ მეცნიერება ახსენე „ფენტისაც
 გავად გაიყვან“, იმდენად დიდია შიში უმეც-
 რებისა—და უფრო იმ პატარა კაცუნებში,
 რომლებსაც მოზარდ თაობას ეძახიან. უთხარი
 მათ მეცნიერების სახელით „მთვარე გაშურგ-
 ში მზადდება“-თქო და ნახავთ, რა აღტაცე-
 ბით მიიღებენ ამ ახალ ამბავს.

ცნობილია, რომ ერთი მეცნიერული
 ქეშმარიტება არ უნდა არღვევდეს მეორეს, არ
 უნდა ეწინააღმდეგებოდეს მეორეს. თუ არ-
 ლვევს, ეს იმას ნიშნავს, რომ ან ერთია
 ტყუილი და ან მეორე. მეცნიერება (ფიზიკა)
 გვასწავლის: ტრიალის დროს ნივთიერება
 იკუმშება და მისი ნაწილები ერთმანეთს მკვიდ-
 რად უკავშირდებაო. წყალი რომ სტაქანში
 ჩაასხა და შენს გარშემო რგოლზე დადგმული
 ატრიალო, სანამ არ გააჩერებ ერთი წვეთიც
 არ დაიღვრებაო. „ყოველი სითხეო, ამბობს
 ბ. გომართელი, ტრიალის დროს ბურთივით
 რგვალდება, რადგანაც ნივთიერების ნაწილებს
 ერთმანეთისადმი მიმზიდველობა აქვთო“ (იხ.
 „ნაკადული“ № 10 გვ. 40). თუ ეს მართლა
 ასეა, მაშ შეუძლებელია წინააღმდეგი მოვლე-
 ნა, ვ. ი. ტრიალის დროს საგნისგან რაიმე
 ნაწილის ჩამოშორება. მაშ უსაფუძვლო უნდა
 იყოს ის აზრი, რომ დედამიწა მზის ნაგლე-
 ჯია, ან მთვარე დედამიწის (იხ. „ნაკად.“
 გვ. 40).

მეორე. დიდებული ნიუტონის გამოკვლე-
 ულ ბუნების კანონის მიხედვით მზის ციკლე-
 ბის და მთელი ქვეყნიერების არსებობა დამყა-
 რებულია მიმზიდველობაზე. ამ კანონის ძალით
 მზე, როგორც უდიდესი სხეული, იზიდავს თა-
 ვის ციკლებს და აჩერებს ერთ და იმავე მდგო-
 მარეობაში. რომ ეს ძალა არ იყოსო, ამბო-
 ბენ ნიუტონი და მის შემდეგნი ვარსკვლავთ
 მრეცხველნი, ციკლები თავის მოძრაობის დროს
 გზას შეიშლიან და ერთმანეთს დაეჯახებიანო.
 მიმზიდველობის კანონს მიეწერება ის მოვლე-
 ნაც, რომელსაც ჩვენ სიმძიმეს ვეძახით და რაც
 დედამიწის ზურგზე მყოფ საგნებს აჩერებს ერთ

და იმავე მდგომარეობაში მის საშინელ სისწრაფით მოძრაობის დროს, თუ ამ ტრიალის დროს აღამიანები, ცხოველები, და სხვა საგნები ჰაერში არ იფანტებიან, — ეს მისი ბრალია, რომ დედამიწა იზიდავს ამათ. თუ ეს ასეა, ასევე უნდა ყოფილიყო პირველ ყოფილ ორთქლად ქცეულ სხეულში: მიმზიდველობის ძალას არ უნდა დაენებებია რომელიმე მცირე ნაწილის ან რგოლის მოგლეჯა. თუ წინააღმდეგ ვიფიქრებთ სისულელე გამოგვივა, ე. ი. როცა მზეს თავის ციაგები უბეში უწვა, ვერ შევაგრა, ე. ი. მისმა მიმზიდველობამ ვერ იმოქმედა, და როცა ციაგები მზეს გაექცნენ, მისმა მიმზიდველობის ძალამ საღაც გზაზე გააჩერა იგინი და მას აქეთ არ აძლევს ნებას გაინძრენ. და ესენიც გარს ევლებიან მას; ხან შორს გაეცლებიან და ხან უახლოვდებიან ხოლო მიმზიდველობის ძალას ერთს და იგაგეს ანახავენ. ამ ნაირად ციაგები ან ვერ უნდა მოგლეჯოდენ მზეს და ან თუ მოგჯენ წინააღმდეგ ნიუტონის კანონისა, ვეღარაფერს ვერ უნდა შეეჩერებია იგინი თავის უსაავბოლო ხეტიალში.

ამ ნაირად ან ქორია ის ბუნების კანონები, რომლებზედაც ჩვენ მოგახსენეთ და მაშინ ბ. გომართელი ცათამლი მართალია, და ან ესენი ქვეშარიტებაა, (რამიდაც ჯერ ექვი არავის შესვლია) და მაშინ გომართელის თქმულება დედამიწის გაჩენაზე ნამდვილი „იქიბოქია“.

მაგრამ დავიჯეროთ ერთ წამს, რომ დედამიწა მზის ნაგლეჯია. მერე რა მოხდა? ცოტა ხნის შემდეგ მზეს შვილიშვილი ეყოლა, რომელსაც მთვარე დაერქვა, ე. ი. დედამიწას მოგჯა ტრიალის დროს რგოლი და გადიქვა მთვარედ. თუ არ ესცდები, მთვარე შვილიშვილად უნდა ვრგებოდეს მზესა? მერე „დედამიწა ნელნელა განელდა და აღუდებული ნაცარტუტის სახე მიიღო. როცა ეს ტუტი განელდა, მას გარსი გაუმავრა... განელების დროს დედამიწას ასდიოდა ორთქლი, რომელიც გარს შემოერტვა სქელ ღრუბლად“ — და სხვა. ნუთუ იაკირია ვინმესთვის ამ თეორიის უსუსურობის განმარტება? თუ გომართელი

ვერ გრძნობს ამას ეს უთუოდ იმის ბრალია, რომ სარწმუნოების გაბათილების ნამეტანმა სურვილმა გაიტაცა. აბა რათ დარჩა შეუნიშნავი ასეთი წინააღმდეგობანი: 1) თუ დედამიწა მზის ნაგლეჯია, თვისებაც მზის უნდა შერჩენოდა. ეგრეთვე თუ მთვარე დედამიწის ნაგლეჯია, სად დაჰკარგა ამ უკანასკნელის თვისება? მიუხედავად იმისა, რომ მზე გომართელის სიტყვით დედამიწაზე გაცილებით უხუცესია, იგი დღესაც აღუდებულია და საშინელი ხურვალი, რომლის წარმოდგენაც არ შეგვიძლია და რომლის განელებას ბოლო არ უჩანს; ხოლო დედამიწა არა თუ განელდა, გაცივდა კიდევ და ზოგი მისი ნაწილები სამარადისო ყინულებით არიან დაფარულნი. მთვარე? მთვარე ხომ სულ აღარ ჰგავს თავის დედას და მათ უფრო დიდედან? იგი მოკლებულია ჰაერს, წყალს, ცოცხალ არსებას, მცენარეობას და მხოლოდ კლდოვან მთებს და მკედარ ქალებს წარმოადგენს. 2) რათ მოხდა ასეთი განსხვავება ამ სამ ახლობელ ნათესავთა შორის? რამ გააცივა დედამიწა? ან რა არის სიცივე? საიდგან წარმოსდგა იგი? იმ დროს, როცა მზეს სხვა და სხვა ციაგები მოსწყდა, ყველა მათგანი გამლხვალ მდგომარეობაში იყვნენ და ხურდნენ უთუოდ ისე, როგორც მზე. როგორღა მოხდა რომ ამდენ მზეებს კიდევ სიცივე შემოეპარათ და, კიდევ ვიმეორებ, ან საიდგან გაჩნდა ეს სიცივე ასეთ უბედურ სიტყეში? მთელი მსოფლიო დუღდა და დედამიწა კი ცივდებოდა! რა ნაირი დასაჯერებელია ეს ჰიპოტეზა?!..

3) „გაცივების დროს დედამიწას ორთქლი ასდიოდა და ღრუბლებად იკუმშებოდა“. როგორ მოგწონსთ „ორთქლს ორთქლი? დედამიწა ხომ გომართელის სიტყვით თვით მოტრიალე ორთქლს წარმოადგენდა და როგორ წარმოვიდგინოთ, რომ ამ მოტრიალე ორთქლს ორთქლი ასდიოდა. თუ ასდიოდა მთლად უნდა ასულიყო რადგან მთლად ორთქლი იყო და მაშინ ორთქლი წყლად იქცეოდა და არა ნაცარ ტუტად.

4) კარგი ვთქვათ, დედამიწის რგოლს ასე მოუვიდა; რატომ ასეთევე არ მოუვიდა მთვარე რგოლს, რომელიც ამას მოსწყდა? რატომ

სამსონი თოფურია დღეს მოკვდა!



მთელი ერთი კვირის განმავლობაში, დაწყებული 13 იანვრიდან, ეს სახარელი ხმა გაისმოდა მთელ ქუთაისში და განსაკუთრებით იმ კუთხეში და იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა განსვენებული მკურნალი სამსონ ბესარიონის ძე თოფურია. „სამსონი დღეს მოკვდა“! გაიგონებდი, შესდგამდი თუ არა ფეხს მის სეულ საავათმყოფოში. „სამსონი დღეს მოკვდა“! გაიმეორებდი შენც, როცა მიიხედ-მოიხედავდი და დაინახავდი, რა ხდებოდა შენს გარშემო. ქვის გულიც რომ გქონოდა, მაინც აგიჩუყდებოდა და თვალბეჭეტიც მოგერეოდა. რა იყო ამ, თითქმის უკვე მორჩენილი, იარის განახლების მიზეზი? ის რომ სამსონის სეულმა საავათმყოფომ უკანასკნელი სული დალია. მოკვდა დიდებული საქმე, რომლის განხორციელებასაც თავი შესწირა განსვენებულმა მკურნალმა! ამ დღეებში იყიდებოდა, უკანასკნელი ნაშთები თოფურიას საავათმყოფოსი. ყოველ საგანში, რომლისთვისაც კი უნდა გადაგველო თვალი, ხედავდი ბეჭედს განსვენებულის მოღვაწეობისას. უკანასკნელი ქალაქის ნაგლეჯიც კი მოგიტხრობდათ, თუ რა წვითა და დავით, რა შრომითა და რუღუნებით იყო შენაძენი და მონაპოვები საავათმყოფოს კეთილდღეობა.

დღეს ეს ყოველივე დაიღუპა, დაიქცა და არ არის აღმოჩანი, რომელმაც აღადგინოს სამსონის სახელი, დაიჭიროს მისი ადგილი და სათავეში ჩაუდგეს ქუთაისის და მთელ დასავლეთ საქართველოს სამკურნალო ნაკადულს. სად არიან ამდენი სახელოვანი და უსახელო ექიმები, რომლებსაც ამ უკანასკნელ ხანებში ხალხის ბელადებად მოჰქონდათ თავი? თუ ერთს არ შეეძლო იმ დიდებული საქმის გაძლოლა, რომელიც ერთმა ღარიბმა კაცმა შეჰქმნა თავის საკუთარი მადლიანი ძაღლივით, ნუთუ ორი და სამი ექიმი მაინც ვერ შეერთდა, რომ შეენახა ხალხისათვის ეს ფრიად სისარგებლო და აუცილებელი დაწესებულება?! მაგრამ... გაჰქრა სული ერთობისა იმ დროს, როცა ერთობაზე აღაღანდა ცნობილი ჯგუ-

ფი, რომელიც გვარწმუნებს, რომ მხოლოდ შეგნებულ და მსწავლულ საზოგადოებაში შესაძლებელია ერთობაო. განა ვინ დაუწუნებს ცოდნასა და შეგნებას ჩვენ ექიმებს? მაგრამ მათი ერთობა თხამ შექამა...

ქალაქი? მკითხავთ თქვენ — ქალაქს განა არ შეეძლო, რამე ელონა და ეს დიდებული საქმე არ მოესპო? არ დაეშრო ქუთაისის მკვიდრთათვის ერთად ერთი სამკურნალო წყარო? კი, მაგრამ ესეც მისი ბრალია, რომ ერთობის დროს ერთობა დაიკარგა და კიდევ მისი, რომ სოციალიზმზე ოცნების დროს წვრილმან პირადმა ინტერესებმა რაღაც მანქანების ძალით უფრო აღიმადლეს ხმა. „თოფურიას საავათმყოფოს საფლავის ჯვარი დავადგათ და საუკუნო განსვენება უსურვოთო“, აი რა რეზოლიუცია გამოიტანეს ხმოსნებმა შესახებ საავათმყოფოს შექმნისა! ამაზე მეტი გულშემატკივრობა საზოგადო საქმისადმი განა შესაძლებელია ვინმე გამოიჩინოს?! ქალაქის გამგეობა, რომელიც გვბირდება საკუთარ საავათმყოფოს აგებას, ეს ქალაქის გამგეობა ვერ ახერხებს, რომ უკვე აგებული და ყველაფრად მზამზარეული დაწესებულება შეინახოს. მერე რა პირობებით?... მთელა საავათმყოფოს მორთულობა ქალაქს არა უმეტეს სამი ათასი მანეთისა უჯდებოდა. ამის შემდეგ, უნდა მოგახსენოთ, იმედი გვეკარგება, რომ ქალაქი ოდესმე რამეს გვადირსებს. ან კი რა მოსალოდნელია, ასეთმა ღარიბმა ქალაქმა, როგორც ქუთაისია, ჯერ შენობა ააგოს და მერმე ათი-თუთხმეტი ათასი მანეთის მოწყობილება შეიძინოს. თუ მართალი გნებავსთ საფლავის ჯვარი სწორეთ ამ იმედს უნდა დაედგას და საუკუნო განსვენებაც ზედ უნდა დაეწეროს. თუმცა ქალაქმა რამოდენიმე თუმნის რამერუმეები იყიდა ბ. ბაქრაძისა და მისი აშხანავისაგან, მაგრამ ეს ისე „между прочим“, როგორც იტყვიან რუსები, რომ ხალხს პირი დაუყოს და თავი ყბად არ ააღებინოს. ვნახოთ, როგორ გამოიყენებს ქალაქი ამ „რამერუმეებს“!...

მაგრამ იკითხავთ: რა მოუვიდა ბ. ბაქრაძეს? რამ აიძულა საავათმყოფო დაეშალა იმ

აღამიანს, რომლის განსაკუთრებული მოხე-
ლობა ივანეშვილების მოვლა პატრონობას
შეადგენსო? მოკლე პასუხი:—ბრაუნინგმა...
რატომ? პასუხი: ?? ვინ? ვინ იცის, ვინ? ამის
ძებნას რომ გამოუდგეთ, შორს წავიყვანს,
თუმცა საინტერესო ადგილზე კი მიგვიყვანს,
სადა განისვენებენ ყოველნი საზიზღარნი და
ზნედაცემულნი ძენი და ასულნი ამა ქვეყნი-
სანი!...

სვირელი

ს ი ზ მ ა რ ი
სააღდგომო მოთხრობა.

ის ქლექით იყო ავით. სასტიკი, მოურ-
ჩენელი ავითმყოფობა ღრღნიდა მის დაუშლუ-
რებულ აგებულებას: ის კვდებოდა...

დადგა გაზაფხული. ბუნება ღეწდა ზამ-
თრის ბორკილებს და ემზადებოდა დიდებულ
საგაზაფხულო სამეჯლისოდ. ყალიფური გა-
ცოცხლდა. ჰაერში გაისმა ტოროლას საუც-
ხოვო გალობა. ის კი, მარტოკა, — ავითმყოფი,
იწვა თავის დაობლებულ ოთახში და დღითი
დღე ელოდა თავის ტანჯვის დასასრულს. მო-
წყენილობა არ შორდებოდა მის უდროვოდ
ღიღრევილ სახეს.

— ძლივს აყვავება და — სიკვდილი, გა-
ქრობა უკვლოდ, სრული დავიწყება, არარა-
ობა!.. რა სასტიკი და ცინვაა უღმობელი ბე-
ლისა!.. წამოიძახებდა ხანდახან ის და ულო-
ნოთ შეკუმშავდა მუკებს. ამ დროს მისი სახე
წარმოადგენდა დაუსრულებელ მწუხარებას და
სასოწარკვეთილებას. საუკუნებსავეთ გრძელ
უძილო ღამეებს იგი ხშირად ტირილში ატა-
რებდა; სტიროდა, რომ ესაღმებოდა უდროვოდ
ამ წუთისოფელს; სტიროდა, როგორც ბავ-
ში გატეხილ სათამაშოსთვის.

ერთ ამისთანა ღამეს, ხანგრძლივ უძილო-
ბით დაღლილმა, კურდღელივით მიიძინა. რა
საუცხოვო ძილი იყო ეს ძილი! რა საამუ-
რი სიზმარი ნახა მან თავის განვლილ უბიწო
ბავშვობის ცხოვრებიდან?!

აღდგომა, ნაცნობი სოფლის ტაძარი

გაჩაღებულია კელაბტრებით. აუარებელი ხალო-
ხია ეკლესიაში... სულ მისი ნაცნობები და
მეზობლები, მისი ნათესავები. ყველა რაღაც
სიხარულს შეუბურია, ყველა რაღაც არა ჩვეუ-
ლებრივ აღტაცებას გრძნობს. ის... ის ხარობს
ბავშური გულწრფელი სიხარულით. ხარობს
და თუმცა სიხარულის საგანს თვალით ვერ ხე-
დავს, მაგრამ გრძნობს კი მის სიხაროვეს;
გრძნობს თავის გულში და უხარია... უხარია,
როგორც კი შეუძლია იხაროს ბავშვის გაუფუ-
ქებელმა გულმა. ტაძრის თაღქვეშ გაისმის
საუცხოვო საეკლესიო გალობა; შამა მისი —
მღვდელი, მოხუცი, ქალაჩა გრძელი წვერით,
გამოდის საკურთხევლიდან და სიხარულისგან
მითრთოლარე ხმით მიესალმება თავის მრევლს:

- ქრისტე აღსდგა!
- ქეშმარიტათ აღსდგა! — გრიალობს ეკ-
კლესია.

ავითმყოფს გამოეღვიძა... რაღაც შორე-
ული, დაუვიწყარი და ძვირფასი იგემა მან ამ
სიზმრიდან. გული აუჩუყდა, თვლები ცრემ-
ლით აევსო... უნდოდა ელოცა, ელოცა,
ელოცა... ამ დროს მას მოესმა საიდგანდანაც
მშვიდი ხმა. ის წამოდგა თავის საწოლიდან,
ბანკალით მივიდა ფანჯარასთან და გამოაღო,
რომ გაეგონა, ვინ ეძახოდა. ცისფერ ხისლიან
ალიონზედ მას მოესმა აღდგომის ზარის ხმა
ქალაქის ეკლესიებიდან. მოულოდნელად გა-
ღიწვრა პირ-ჯვარი და გულის სიღრმეიდგან
ვიღაცას უპასუხა:

— ქეშმარიტათ აღსდგა!

ცოტა ხნის შემდეგ დიასახლისი შევიდა
ავითმყოფთან, რომ გულის გამახალისებელი
„ქრისტე აღდგა“ ეთქვა, მაგრამ იგი საუკუნო
ძილს მისცემოდა. მის მკრთალ სახეს ცხადად
ეტყობოდა ბრწყინვალე აღდგომის სიხარული,
შერიგება და სასოება...

კალ. ჩხაიძე

**რამ დაბადა თანამედროვე შანთაუნი
და რით შიძლება მასთან ბრძოლა?**

ამ საკითხმა დიდ საგონებელში ჩაავლო
შარშან ქუთაისის თვითმართველობამა; უკანა-

სკნელმა საგანგებო კრება გამართა ამ საკითხის გამოსარკვევად, რომელზედაც მოწვეული იყვნენ ქალაქის მკვიდრნი. კრებამ ჩვეულებრივად ჩაიარა, ხოლო გარიგებით კი ვერა გაარიგა რა. სანდონების წარმომადგენელმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა და შეეხო მხოლოდ საკითხის მეორე ნახევარს; შანტაისტებთან საბრძოლველ საშუალებად მან დასახა ისევე ხალხი და მოიყვანა მაგალითად ახლო წარსული დრო, როცა ხალხი თავის ხელად იყო და ცარცვა გლეჯა ვითომ შემცირებული იყო. ჩვენ არ დავსწრებივართ ამ კრებაზედ. როგორც ვაზეთებიდგან ვიცით, ბ. სანდონისთვის არავის უბასუხნია, თითქოს ყველანი თანახმა იყვნენ იმისი. ერთმა დამსწრეთაგანმა, მგონი, პროექტიც შეიტანა იმისი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ხალხის უფლება ამ შემთხვევაში. მან წინადადება მისცა, მთელი ქალაქი საათისთაობად დაეყოს და ათის თავები დაეყენებიათ.

მე ვფიქრობ, ბ. სანდონიც შემცდარია თავის პროექტში დამისი თანაშემწე დამსწრეც. და ეს შეცდომა იმის ბრალია, რომ მათ არ გაუთვალისწინებიათ შანტაისტების მამოძრავებელი მიზეზები. თუ მიზეზები გაუთვალისწინებიათ უფრო სხვა დასკვნაზე მივიდოდნენ; დასკვნაზე, რომელიც, შეიძლება, არაფრად ებიტნავენოდათ, მაგრამ რა ვუყოთ, ქეშმარიტებას სად ვაგვექცევით, ათასი რა გვერდი ავუხეიოთ, ბოლოს მაინც მასთანვე უნდა მივიდეთ, თუმცა ხანდახან კი გვიან მოგვიდის ასეთი მოგზაურობა, მაგრამ, რა ვქნათ, ესეც აუცილებელია, რადგან ადამიანს იმდენათ დაკარგული აქვს ალღო ქეშმარიტებისადმი მოკლე გზით სიარულისა, რომ აუცილებლად მიხვეულ-მოხვეულად უნდა იაროს.

ბ. სანდონის რეკვებით შანტაისტების მოსპობა ხალხს უნდა მიენდოს. ნეტა ვინ დაუშალა ხალხს შანტაისტის და ყოველგვარ ბოროტმოქმედების მოსპობა? ნუთუ დღესაც თავისუფალი არ არის ხალხი, რომ ყოველგვარი ცუდაცობა სდევნოს? მაშ რაღა აყვირებს იმავე ხალხს, შანტაისტებმა დაგვანდეს, ჩაგვდგეს მუდმივად ან მისი მისი ან შექმნილი მათ წინა-

აღმდეგ ბრძოლა. ვერ ებრძოდა იგი მათ შანტა, როცა თავის სეგბედს თითონ განაგებდა. არასოდეს იმ ზომამდე არ მისულა სოფლად შანტაეი, რა ზომამდინაც მივიდა იმ დროს, რა დროსაც ასე სასოებით იხსენიებს ბ. სანდონი. ამით ჩვენ განმათავისუფლებელ მოძრაობის დამცირება არ გვინდა, მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ ხალხს თავის დაცვა შანტაისტებიდგან არ შეუძლია, თუ შეეძლოს მართებლობაც საქირო აღარ იქნება, ე. ი. არ იქნება საქირო არც სანდონების ცენტრული რესპუბლიკა. ხალხს რომ თავის დაცვა შეეძლოს, ისეა ძალმომრეობას, როგორიცაა ერთი კაცისაგან მთელი სოფლის ან მხარის შიშქვეშ ყოფნა, ან სრული დამორჩილება, ადგილი არ ექნება ეხლანდელ საზოგადოებაში. მაგრამ, როგორც ვხედავთ, სულ სხვა ხდება: ერთი თავზე ხელაღებული ყაჩაღი მიეღ სოფელს, საზოგადოებას იმორჩილებს და შიშის ზარს სცემს; იგი სრული თვითმპყრობელი მბრძანებელია მისი და ვაი იმის ბელს, ვინც მისს ბრძანებას გადაეა. მაგალითებს მე არ მოიყვან, თუმცა ყოველ ფეხის გადადგმაზე ვიპოვნი, როგორც ეხლა, ისე ახლო წარსულში. თქვენ თითონ მიიხედ მოიხედეთ და თქვნი თვალთ დაინახავთ რომ ხალხი ძრწის მბრძანებლის წინაშე, ვინც უნდა იყოს იგი თვითმპყრობელი ხელმწიფე, თუ თვითმპყრობელი ყაჩაღი. ხალხზე ის მეფობს, ვინც შიშის ზარს სცემს, ვინც ძალმომრეობას ხმარობს. რამ დააჩოქა ქრისტეს მორწმუნე ხალხი მარქსის სურათის წინ? ნუთუ მისდამი განუსაზღვრელმა სიყვარულომა და სასოებამ? არა. შიშმა, თოფიანმა ავტორიტეტმა სასაცილოა ბ. დამსწრის ათისთავეები: ათისთავეებს ოცის თავები უნდა, ოცის თავებს ასისთავეები, ასისთავეებს ათასის თავები, ამთ კიდევ უმაღლესი მოხელეები, მოხელეებს მოხელეები და სხვა. რას ჭგავს ეს? ნუთუ იგივე ბიუროკრატია არ გამოდის? გოროდოვები, აკალოდკის უფროსები, ბოქაულები, პოლიციისისტერი და სხვა და სხვა. თუ სახელწოდება არ აფუქებს საქმეს, ვაონება, ათისთავეები და შემდეგი მოხელეთა რანგებიც იგივე მოხელენი იქნებიან და

შანტაჟს ვერ მოსპობენ. მართლა და ეს ათის თავები ნიციუსს ზეკაცები ხომ არ იქნებან?! იგივე გორდოვოი ათის თავი იქნება, იგივე აკალოდკის უფროსი ასისთავი, იგივე ბოქაული ათასის თავი და სხვა. არავითარი განსხვავება მათში არ იქნება ისე, როგორც არ არის დღეს განსხვავება ყოველ რაზმელთა და ეხლანდელ სტრატეგია შორის. არ იქნება განსხვავება მიტომ, რომ ადამიანი ყველგან და ყოველთვის ადამიანია და რა სახელითაც უნდა მონათლოთ, მაინც ადამიანი დარჩება. ვიფიქრებ, სახელის გამოცვლა საქმეს წინ ვერ წასწევს. უნდა ვიფიქროთ სხვა რამეზე, უნდა ვიფიქროთ ძირითად ცვლილებაზე, ადამიანის ბუნების გაკეთილშობილებაზე, მის ნებისა და სურვილების აღზრდაზე, მის ზნეობრივ მხარის განვითარებაზე. როცა ადამიანის ბუნება გაკეთილშობილდება, მაშინ მას „გორდოვოი“ კი არა, ივანე მრისხანის „ობრიჩნიკი“ რომ უწოდო, მაინც იგივე კეთილშობილი ხასიათი დაგრჩება. უამისოთ შანტაჟის მოსპობა შეუძლებელია. ძალმომრეობას შეუძლია იგი დროებით შეაჩეროს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ტაქტიკა შეაცვლევინოს და გათავდა!...

შანტაჟი ყოველთვის ყოფილა; იგი კაცობრიობის ხნისაა; აქნამდის მას ქურდობა-ყაჩაღობა ერქვა, ეხლა სახელი გამოეცვალა (უთუოდ განათლების ბრალია!) მაგრამ შინა-არსი იგივე დარჩა. ყაჩაღა და შანტაჟისტს შორის, თუ გნებავს, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ შანტაჟისტი მოქმედებს პარტიის ან ჯგუფის სახელით და ვითომ მის სასარგებლოდ, ყაჩაღი კი პირადად თავის სახელით და თავისთვის. მაგრამ ეს დამკლის უფლისთვის სულ ერთია. მან იცის, რომ მას გლეჯენ, საკუთრებას ართმევენ; ვის სასარგებლოდ? ეს მისთვის სულ ერთია. შანტაჟი იყო — მეთქი, ვამბობ, მაგრამ ამ მოძრაობის წინეთ იშვიათი იყო და სირცხვილ ქვეშ ხდებოდა. შანტაჟისტი გრძობდა, რომ ცუდ საქმეს შერებოდა, რომ ადამიანურ მოვალეობას არღვევდა. გრძობდა, რომ ღვთის მცნებას უარყოფდა. ამიტომ მას რცხვენოდა, ეშინოდა. ამიტომ

შანტაჟისტიც ცოტა იყო უწინ. ეხლანდელი შანტაჟისტი ამ გრძობას მოკლებულია. მას სასირცხოდ არ მიაჩინია თავის მოქმედება, ის დარწმუნებულია, რომ თავის მოქმედებით მოვალეობას კი არ არღვევს, სავსებით ასრულებს მას. ღმერთი მას აღარ ჰყავს ცაში და აღარც მისი მცნებაა მსთვის სავალდებულო. მას ასწავლეს, იგი დააჯერეს, რომ არ არის არავითარი უმადლესი არსება, რომ ადამიანი შეილია ბუნებისა (რომელსაც ვერც მასწავლებლები იცნობენ), რომ ამიტომ მისი დანიშნულება, მასი მიზანი ამ ქვეყნად ცხოვრებაა, ხოლო ამ ქვეყნად ცხოვრება კი შეიცავს კუჭის დაკმაყოფილებას. შეასმინეს, რომ ადამიანთა შორის მეფობს ერთი და იგივე უღმობელი ბუნების კანონი — ბრძოლა არსებობისათვის, რომ ეს ბრძოლა სწარმოებს მხოლოდ კუჭის საკითხების შესახებ, სწორედ ისე, როგორც პიტიუტყვთა შორის. აქედან დასკვნა ის გამოდის, რომ, ვინც ბრძოლით რამეს შოვობს და კუჭს იკმაყოფილებს, ის მოვალეობას ასრულებს, როგორც ბუნების წინაშე, ისე თავის კუჭის წინაშეც. ასეთი შეგნების შემდეგ მარტო ბუნებით, სიღარგე თუ შეაჩერებს ადამიანს, რომ არ ჩაიდინოს ის საზიზღრობა, რომელსაც იღენენ ჩვენი შეგნებული შანტაჟისტები. დაუბრუნეთ ხალხს, რაც წაართვით, გააორკეცეთ მისი რწმენა ჯუნაგსზე. შეასმინეთ მას შიში ღვთისა და იგი ყოველ შემთხვევაში ადამიანი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში შანტაჟი მანამ არ მოისპობა, სანამ თითო კაცს თითო ხიშტიან სალდათს არ ამოუყენებ და ისიც მაშინ, თუ თვით ეს ხიშტიანიც შანტაჟისტი არ იქნება.

ბოსლეველი.

კვირიდან კვირობამდე.

ყოველად სამღვდლო იმერ. ეპ. გიორგიმ განკარგულება მოახდინა, რომ სოფლის მღვდლები ქუთაისში ხშირად არ იარებოდნენ და ამით მრევლში სამსახურს არ აკლდებოდნენ. ამავე განკარგებით ქუთაისში შემოსახლებულ მრევლის მღვდლებს ებრძანა მრევლში ცხოვრება.

—სოფელ ზარათის მღვდელი მ. ნემსიწვე-
ნიძე მისმა მეუღეებამ ქალაქის დასაწყის სკო-
ლის სამღვთო სჯულის მასწავლებლად და-
ნიშნა.

— საქმე ქუთაისის საკრებულო ტაძრიდ-
გან ნაეთების დაკარგვისა მისმა მეუღეებამ პრო-
კურორს გადასცა და სთხოვა საგანგებო გამო-
ძიების დანიშნა. დაკარგულია ბაქვი-
ტის ღვთისმშობლის კარები, ძვირფასი ქვებით
შემკული, სამი პანაგია, რომელთაგან ერთ-
თი 900 მანეთადაა შეფასებული. როგორც
გავივით, პროკურორს ეს საქმე გამოძიებელ
ბ. ხაბურძანიასთვის მიუწვდია. იმედი უნდა
ვიქონიოთ, რომ ბ. ხაბურძანია მედგრად შე-
უღვება საქმის გამოძიებას და ეცდება აღმოა-
ჩინოს ბოროტმოქმედი.

— სასულიერო სასწავლებელში ეს კაი
ხანია არეულობა ხდება. სხვა სასწავლებლე-
ბი, რომ დაწყნარდნენ, ეხლა ამან დაიწყა პე-
ტარდების სროლა და სხვა გვარი არეულობა.
რა არის ამის მიზეზი, არვინ იცის. თვით მო-
სწავლეები არაფერს ეუბნებიან არც მასწავ-
ლებლებს და არც მშობლებს. ამ მხრით სასუ-
ლიერო სასწავლებელი მოგვაგონებს ჯიუტ
ავათმყოფს, რომელსაც არ უნდა გააძევენოს
თავის ავათმყოფობა, რომ რაც შეიძლება მე-
ტი მწუხარება მიაყენოს ქირისუფალს. მაგრამ
ავიწყდება ავათმყოფს, რომ სატყვიარი გაძ-
ნელდება; ქირისუფალი მწუხარებას შეეჩვევა
და ავათმყოფი კი ბევრ ტანჯვის შემდეგ ფე-
ხებს ფშვებს და სულს განუტყეებს. ამბობენ
მოსწავლეებმა მოთხოვნილება წარადგინეს,
რომლითაც თხოულობენ, ვინც ცუდათ სწავ-
ლობს, უეჭვამენით გადიკანეთ შემდეგ კლას-
შიო. ეს თუ მართალია, უნდა ვიფიქროთ,
„ღღუბოვნისტები“ მართლი ბალები ყოფი-
ლან—სწავლა და კლასებში სიარული ერთ-
ნაირად მიჩნევათ. ეგრე რომ იყოს, ხომ ერთ
კვირაში მივიღებთ უმაღლეს სწავლას!..

ნათლება მისცეს იმ პირთ, რომელთაც სურსთ
პედაგოგიურ ასპარეზზე სამსახური. აკადემიაში
ღებულობენ უაღლეს სასწავლებლებში კურს
დამთავრებულ ორივე სქესის პირებს განურჩევე-
ლად ხალხოსნობი ა და სარწმუნოებისა. კურს-
სი გრძელდება ორ წელიწადს; წლიური გა-
დასახადი ასი მანეთია.

ასეთ დაწესებულების დაარსების საჭიროე-
ბაზე ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია. ვინაც
ჩვენი სკოლის კარები უნახავს, ყველამ კარგად
იცის, რა წამებაა ეხლანდელი მასწავლებლე-
ბის სწავლება. მხოლოდ სალაპარაკო ის არის,
რატომ უნივერსიტეტებში და აკადემიებში არ
არის ასეთი სპეციალიზაცია, რატომ არ ზრდი-
ან განსაკუთრებით მასწავლებლებს ისე, რო-
გორც ზრდიან იურისტებს, დოქტორებს, ინ-
ჟინერებს, მღვდლებს, ბერებს და სხ. და სხ.
ნუთუ ესენი უფრო საჭიროა მასწავლებლებზე?

ჩვენი მაღალი სასწავლებლის ნაკლი დღეს
პედაგოგიურმა აკადემიამ უნდა შეავსოს, მაგრამ
ბევრი ისარგებლებს ამით? 12—14 წელიწადი
გიმნაზია, 4 წელიწადი უნივერსიტეტი და კი-
დეც ორი წელიწადი პედაგოგიური აკადემია
ბევრისთვის ნიეთიერად და ფიზიკურად შეუ-
ძლებელი შეიქნება. გარდა ამისა აკადემიის
ნაკლი ის არის, რომ იგი არაფერ ზედმეტ
უფლებებს არ იძლევა. უნივერსიტეტი დამთავ-
რებულები ისევ ისე დაუბრკოლებლად მიადე-
ბენ მასწავლებლების ადგილს და ამ პირობაში
განა ბევრი გამოვა ისეთი, რომ ხელოვნების
გულისთვის ისწავლოს? ორი წელიწადი მო-
აკლოს თავის ისედაც ხანმოკლე დღეგრძელო-
ბას? საჭიროა ან უნივერსიტეტებში და აკა-
დემიებში იკისრონ ის მოვალეობა, რომელსაც
კისრულობს ახალი პედაგოგიური აკადემია,
რის დროც ბევრი აქვთ ჩვენ უსაქმურ სტუ-
დენტებს, და ან პედაგოგიურ აკადემიას მიე-
ცეს ფართო უფლებები.

რედ.

პედაგოგიური აკადემია.

პეტერბურგში დაარსებული პედაგოგიური
აკადემია, რომლის მიზანია, სპეციალური გა-

რედაქტორ-გამომცემელი მღვდელი
სიმონ მამელიძე.